ხელშეკრულება №ტკტსგშ/2016-049
(მომსახურების შესყიდვის შესახებ - CPV 14200000, 14212430, 14212310)

ქ. თბილისი 29 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ შპს ,,ტრანს კავკასუს ტერმინალსი" (ს/კ 202462101) (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორი ლევან სულაბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინერტული მასალები და ლოჯისტიკა" (ს/კ 406151453) წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა რაქვიაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება"--შემსყიდველ ორგანიზაციასა "მიმწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "შემსყიდველი" - ნიშნავს ორგანიზაციას (კომპანიას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. "მომწოდებელი" - ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „მომსახურება"– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

2.1. 95 $მ^3$ ღორღი და 114 $მ^3$ ბალასტის შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (ტრანსპორტირება).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. 1 $მ^3$ ღორღის (ტრანსფორტირებით) ღირებულება არის 16 (თექვსმეტი) ლარი დღგ–ს ჩათვლით (CPV 14212430)

3.2. 1$მ^3$ ბალასტის (ტრანსფორტირებით) ღირებულება არის 13 (ცამეტი) ლარი დღგ–ს ჩათვლით (CPV 14212310)

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 3002 (სამი ათას ორი) ლარი დღგ–ს ჩათვლით

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ:

4.1.1 მის მიერ მიწოდებული საქონელი და თანმდევის მომსახურება (ტრანსპორტირება) შესაბამისობაშია ამ ხელშეკრულების მოთხოვნებთან,

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1 *მიმწოდებელი ვალდებულია:*

5.1.1 მომსახურების მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით და ვადაში.

5.2 *მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

5.2.1 შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1 განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

5.4 *შემსყიდველი უფლებამოსილია:*

5.4.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

5.4.2 შეამოწმოს მომსახურების ხარისხი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს.

5.4.3 ინსპექტირების შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მიმწოდებელს მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2. ქ. თბილისი, ისან–სამგორის ცენტრალური რაიონი, ნაკვეთი (01/154), –თბილისის საბაჟო–საკონტეინერო ტერმინალი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს: დავით შარიქაძე,ტელ: 599095036

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, დასაბუთებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

7.3. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება სამ ეგზემპლიარად, რომლის ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს.

7.4. ხელშეკრულების ადმინისტრატორად შემსყიდველი ორგანიზაცის მხრიდან განისაზღვროს მთავარი ინჟინერი გელა კელაპტრიშვილი

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. მიმწოდებლისათვის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება და ადმინისტრატორი

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს ,,ტრანს კავკასუს ტერმინალსი"-ს თანამშრომელი გელა კელაპტრიშვილი,ტელ: 591707910

9.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად ჩაითვლება ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს

წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5. მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების მიწოდების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 0,02%- ის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულთათვის და დასაქმებულთათვის.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი, ასევე დამატება, ცვლილება და მათი ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება ხელშეკრულების მე-15 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

14.7. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

14.8. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

14.9. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.10. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან მოქმედებს 6.1

პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან 2017 წლის 10 იანვრამდე.

14.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო, ორი შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსი“	შპს „ინერტული მასალები და ლოჯისტიკა“
საიდ. კოდი: 202462101	საიდ. კოდი: 406151453
მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15	მის:ქ.თბილისი,ისანი-სამგორი, შარიქაძის№3, ბინა 40
ბანკი: სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია“	ბანკი: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: UGEBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE21VT6500000007773607	ა/ა: GE54BG0000000627322700
ლევან სულაბერიძე დირექტორი	პაატა რაქვიაშვილი დირექტორი

ინვოისი № 56/29/11/2016

ინვოისის თარიღი: 29.11.2016წ.

დამკვეთი: შპს "ტრანს კავკასუს ტერმინალსი"	
საიდენტიფიკაციო კოდი: 202462101	
იურიდიული მისამართი:	
	"INERT MATERIALS AND LOGISTICS" L.t.d.
შემსრულებელი:	
შპს "ინერტული მასალები და ლოჯისტიკა"	**შპს "ინერტული მასალები და ლოჯისტიკა"**
ს/კ: 406151453	
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ისანი-სამგორის რ-ნი შირაქის ქ.3 ბ.40	
ანგ. No: GE54BG0000000627322700	
ბანკის კოდი: BAGAGE22	
სს საქართველოს ბანკი:	
ელ. ფოსტა: Inertml@gmail.com	

საქონელი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით
ღორღი 20+ (ტრანსპორტირებით)	მ3	**95**	16	1520
ბალასტი (ტრანსპორტირებით)	მ3	**114**	13	1482
ჯამი:				3002

შპს "ინერტული მასალები და ლოჯისტიკა"

ხელმოწერა

დირექტორი: პ. რაქვიაშვილი